ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N126
CPV:79212000 – აუდიტორული მომსახურება

ქ. თბილისი 26 დეკემბერი, 2016 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"** (შემდგომში - შემსყიდველი), მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **ნოდარ ხარაზიშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **ი/მ დავით რობაქიძე** (შემდგომში „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1 ქვეპუნქტის და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"-ს მთავარი ბუღალტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N1531096 სამსახურებრივი ბარათის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამული დაფინანსების ფარგლებში) კოლეჯის ბალანსზე რიცხული ფიზიკური პირებისაგან საჩუქრად გადმოცემული წიგნების (სახელმძღვანელოები, სულ ორმოცდათოთხმეტი დასახელება) ღირებულების დადგენა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **150 (ასორმოცდაათი)** ლარს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა (დ.ღ.გ. და სხვა) გადასახადების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.
3.2. მომსახურების მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი", ხოლო მიწოდების თარიღი – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
3.3. საქონლის/მომსახურების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს თანმხლებ დოკუმენტაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში)საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.
4.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ხარაზიშვილი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.
52. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი ან/და თანმხლები დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის/მომსახურებით ღირებულების შესაბამისად 7.2.1 პუნქტში განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
5.4. მიღება-ჩაბარების აქტის გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.

6. მხარეთა უფლებები

6.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.
6.2. „შემსყიდველს˜ უფლება აქვს:
6.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის (მომსახურების) მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
6.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. დადგენილ ვადაში 3.1 პუნქტის შესაბამისად გაუწიოს „შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

7.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.3. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

7.1.4. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

10.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების კონტროლი

14.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლი.
14.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
14.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
14.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
ა) საქონლის (მომსახურების) მიწოდებით.
ბ) მხარეთა შეთანხმებით.
გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი _ „შემსყიდველთან".

მუხლი 19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"
ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა; ს.ნ. 200279448; სახელმწიფო ხაზინა, საბანკო კოდი: 220101222; ან.ა: 200122900;
ტელეფონი: 570503001; nodar_ter@yahoo.com
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ხარაზიშვილი

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
ი/მ დავით რობაქიძე, მისამართი: ქ. თბილისი, ვარკეთილი-3, მე-2 მ/რ, კ.15, ბ.85; ს/კ01013024727, ს.ს. „პროკრედიტ ბანკი", საბანკო კოდი:MIGGE22, ა/ა GE06PC0093600100016671; ტ: 599 301 584
დავით რობაქიძე

(ხელმოწერა)